№ 77 აპრილი 6, კვირა 1886 აპრილი 6, კვირა № 77

გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

ტფილისი, 5 აპრილს

სახელოვანი კანონი გლადსტონისა, რომელიც მან გაიყვანა 1872 წელსა, რომელსაც *Jrish land-bill*-ს ეძახიან და რომელზედაც ჩვენ გუშინ შევაყენეთ ჩვენი მოთხრობა, თუმცა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, ინგლისის დუღაბით გაკვითკირებულის მიწათ-მფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეგ კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. მით უფრო შესანიშნავია იგი კანონი, რომ მის მეოხებით ცვლილება აზრისა მიწათ-მფლობელობის შესახებ თეორებრივი კი აღარ არის დღეს ინგლისში, არამედ თქმული ქმნულად არის გადაქცეული და საქმით არის გამხორციელებული.

ეგ კანონი წარმომდგარია ერთის სახის ჩვეულებისაგან, რომელმაც ფეხი მოიკიდა ერთს პატარა პროვინციაში—ოლსტერში ჯერ კიდევ იაკობ 1 დროს, და ამიტომ ეძახიან ოლსტერის ჩვეულებას... ამ ჩვეულების ძალით ფერმერი მივიდოდა, იჭერდა, მამულის პატრონის ნება-დართვით, მიწას, ბინას იკეთებდა, სიტყვიერად ურიგდებოდა ფასს იჯარისას და არა ვითარს ხელ-შეკრულობას ერთმანეთს არ აძლევდნენ. ერთსაც ნება ჰქონდა, როცა სურდა აყრილიყო, მეორესაც—როცა უნდოდა აეყარნა და დაეთხოვნა. ხოლო ორსავე შემთხვევაში ფერმერს ეძლევოდა იმისი ფასი, რაც გაეკეთებინა და ჩაეყარა მამულში. ამ ფასსა ფერმერი იღებდა არა მამულის პატრონისაგან, არამედ იმ კაცისაგან, ვინც მის სანაცვლოდ მისდა ნაჭერს მამულში შემოდიოდა დასაბინავებლად. ეს ჩვეულება შეწყნარებული იყო თვითონ ერის მიერ და გაკანონებული კი არ ყოფილა.

გლადსტონის 1872 წლის კანონის სათავედ ეგ ჩვეულება შეიქმნა, თუმცა შესანიშნავი ცვლილებანი დაემატა კი. პირველი, რომ ყოველივე სადავო საქმე ფერმერსა და მემამულეს შორის, თუნდ იჯარის ქაღალდითაც არ ყოფილიყვნენ ერთმანეთში შეკრულნი, დაუმორჩილა კანონს და ამაების გასარჩევად სულ ახალი განსაკუთრებული სასამართლო დააწესა და მომრიგებელ მოსამართლეებს სრული უფლება მისცა აიძულოს მიწათ-მფლობელი და ფერმერი კანონს ემორჩილებოდნენ. ამ სახით გაკანონდა იგი ჩვეულება და კანონის მფარველობის ქვეშ დადგა იქაც კი, საცა, როგორც ვსთქვით, ქაღალდით ხელ-შეკრულობა არ იყო. 2) თუ დავა ასტყდებოდა ვადის მეტ-ნაკლებობაზედ, ვადად აღიარებულია 31 წელიწადი, თუნდაც მოდავენი ნაკლებ ვადაზედაც შეჰპირებოდნენ ერთმანეთს; 3) მემამულე თავისის ნებით ვერ აუწევს და მოუმატებს იჯარის ფასსა. ფერმერს შეუძლიან ამ შემთხვევაში იჩივლოს და საჩივარს გაარჩევენ საკუთრად ამისათვის დანიშნულნი დამფასებელნი; 4) მემამულე თავისის ნებით ვერ აჰყრის ფერმერს და ვერ დაითხოვს, თუ ფერმერი უნაკლულოდ იხდის იჯარის ფასსა. თუ აჰყარა, თვითონ მემამულემ უნდა უზღოს ფასი ყოველ იმისა, რაც ფერმერს აუშენებია, რაც მამული გაუკეთებია, გაუწმენდია და თუ ნერგი რამ ჩაუყრია. ამისი საზღაური უსათუოდ უნდა გამოერთვას მემამულეს, თუნდ თვითონ ფერმერი მოწადინებულიც არ იყოს. 5) როცა მემამულე ჰჩივის, ფერმერი იჯარას არ იძლევაო და ამ მიზეზით თხოულობს მის აყრასა, მაინც კანონს უნდა მიჰმართოს და თავისის ნებით აქ ვერასა იქმს. ამ შემთხვევაში სასამართლო იმის გამოძიებაში უნდა შევიდეს—მიუცემლობა ხომ იქიდამ არ წარმომდგა, რომ მეტად ბევრსა სთხოვსო ფერმერს. თუ ასეა, სასამართლო უარს ეუბნება მემამულეს და ყოველს ხარჯს, ყოველ დღეს მოცდენისას, ყოველს ზარალს, რაც კი ამ საქმის გამო მოსვლია ფერმერს, მემამულეს აზღვევინებს სასარგებლოდ ფერმერისა; 6) დასასრულ, ფერმერს მიენიჭა უფლება შეისყიდოს თვისი საიჯარო მამული, თუ მამულის პატრონს მოურიგდება. რაკი მორიგდებიან, ხაზინა აძლევს ფერმერს სესხად ორს მესამედს მორიგებულის ფასისას 35 წლით და ფერმერმა ასში ხუთის თავი უნდა აძლიოს 35 წლის განმავალობაში და ამ ხანის შემდეგ თავნი და სარგებელი გადახდილი ექმნება. დღიურ მუშებსაც და უმამულოებს, თუ ისურვებენ გამოისყიდონ სასახლე ადგილი, რომელზედაც დგანან, მთავრობისაგან სესხი ეძლევათ ამ სახითვე.

წარმოსადგენია თუ,—რა ძლიერი ყოფილა ინგლისში მოძღვრება საკუთრების ხელ-შეუხებლობისა, რომ ამისთანა უწყინარმა და მშვიდობიანმა ხელის ხლებამაც კი მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა, ხსენებულს კანონს რადიკალობის სახელი გაუთქვა და დიდება და სახელი გლადსტონისა მოჰფინა მთელს ქვეყანაზედ.

რომ გავიხსენოთ რაც იყო თქმული ინგლისის მიწათ-მფლობელობის წყობასა და აგებულებაზედ; რომ გონების თვალის წინ დავიყენოთ იგი მედგარი, დაუძინარი მეცადინეობა ლანდ-ლორდებისა და წინანდელის კანონ-მდებლობისა; გავიხსენოთ იგი მხნეობა დ თვალ-გაფაციცებული სიფრთხილე, რათა არაფერმა არ შეურყიოს საძირკველი საკუთრების ხელ-შეუხებლობის მოძღვრებასა,—ჩვენც სხვასთან ერთად მოგვიხდება თქმა, რომ ის უწყინარი კანონი, რომელიც გლადსტონის, ბრაიტის, ფორსტერის და სხვების თაოსნობით მიიღო ინგლისის ერმა, დიდი გაბედული და თამამი ბიჯია.

მაგ კანონს, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ აშკარად დიდმნიშვნელობიანი საგანი უდევს სარჩულად არა მარტო ინგლისისათვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპიისათვისაც:ქონებრივი წყობილება ეხლანდელის საზოგადოებისა დასავლეთს ევროპაში... უნდა იმ საფუძველზედ აშენდეს, რომ ფერმერმა, დღიით მიწების მჭერელმა, უმამულო მუშა-კაცმა საკუთრებად შეისყიდონ მამულნი, რომელზედაც დროებითად და ვადით დგანან.

«ჩვენა გვგონია, ამბობს ერთი მეცნიერი, რომ მაგ კანონს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვსო მთელის ინგლისათვის.... ვიდრე პირველ შეხედვით გვეჩვენებაო.... იქნება ბევრი ხანი გავიდეს, ვიდრე არისტოკრატიული წყობა ინგლისისა ამ ახალს აზრს და მიმართულებას შეიშვნევდეს და შეიფერებდეს, ხოლო ბოლოს კი დაჰყვებაო, როგორც დაჰყოლია აქამომდეცა ყოველს საჭიროებას ერისას, თუ იგი საჭიროება უკან-დაუხევლად და ერთ-ხმივად იღაღადებსო. ირლანდიის მიწათ-მფლობელობის შესახები კანონი (გლადსტონისა) პირველი ბიჯია მიწათ-მფლობელობის ცვლილების გზაზედა,—ბიჯი, მართალია, მოკლედ გადადგმული, მაგრამ ძლიერი და უკუ დაუბრუნებელიო...

ფელეტონი

რძალ-დედამთილის ჩხუბი

(გოგიას ნაამბობი)

გუშინ-წინ, დილით, ეშმაკათ,
სოფელზე ჩამოვიარე,
იქ საქმე მქონდა: თანდილას
ძროხები დავაზიარე....
ნეტა იცოდეთ რა ვნახე?...
ქირი სჯობს ავ-რძლის ყოლასა...
ერთი საათი ვუცქირე
რძალ-დედამთილის ბრძოლასა!

თურმე პატარძალს ბაღჩაში
წიწმატი მოსდომებოდა,
ვინ იფიქრებდა, რომ, იმას,
თან მწყემსი გადაჰყვებოდა?!..
აკი შეეტყო დედა-მთილს...
ეკივლა, შენი მტერია...
რძალსა სცემოდა კავებში
და აედინა მტვერია!...

რომ ჩავიარე, შავხედე,
გოგო ტიროდა, ჩიოდა,
ბებერს უქნევდა მუგუზალს
და ძალზე ხვითქი სდიოდა...
«აი, შე ლეშო, ქოფაკო!
დედა-მთილს ეუბნებოდა,—
«შე კუდიანო, მოიცა,
ქმარს ვუთხრა!»—ემუქრებოდა...
ბებერიც, რომ ესთქვა სულ-ქვეშა,
ჩნდა მარჯვე დედა-კაცია,
თავის რძალს ისე ებრძოდა,
როგორც ხუთის წლის ვაცია!...
ეუბნებოდა: «წუკიავ!
როგორ-ღა იღებ ხმასაო?...
დაბეზღებაზე თუ არი,
მეც ვეტყვი შენს ვირს ქმარსაო!...
იქ რომ წიწმატი მიირთვი,
იმან თუ გაგაწიწმატა?
—ენაში ღვარძლი ჩაგიდგა
და მკლავში ღონე მიგმატა?...
ისა სჯობს ქმარს არ მოჰხადო
ნამუსიანი ქუდია
და არ ატარო მოსვრილი
ტალახში კაბის კუდია»!...
ამ თქმაზე წყეულს პატარძალს
სულ მთლად ეცვალა ელ-ფერი,
უგდო მოგვერდი დედა-მთილს,
ქვეშ ამოიდო ბებერი!...
დაუწყო ბუზნა სალოღავს,
დააწვა როგორც დათვია,
ცალ კავში მისწვდა ბეჩავსა,
თავში წაუსო თათია!....

—

მეწყინა ჩემმა სიყმემა,—
არ მოკვდეს ჩემი თავია,
წამოველ, რაღას ვუცდიდი:
ავი—მის დღეში ავია!

თ. რაფ. ერისთავი

საკვირაო სხარტულა

რა მოჰყვა გაზაფხულს? — «აზიელი სტუმარი» და მისი მობრძანების შიში სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქს. — «ზოგი ჭირი მარგებელიაო.»—გამოლაშქრება ძაღლების წინააღმდეგ და ძაღლთა მიტინგი.—ოთხ-ფეხის ორატორის სიტყვა. —რა ზედ-მოქმედება მოახდინა ამ სიტყვამ «საზოგადოებაზე».?—ქუთაისის გმირები.—რა წამალია მათ წინააღმდეგ?

—

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, სადაც ვარდია, იქ ეკალიც იზრდება და ყოველ სიტკბოებას თავისი სიმწარე თან ახლავსო. რა არის გაზაფხულზე უკეთესი, რა სჯობია ამ მშვენიერს სტუმარს, რომელსაც ჩვენ ვნატრობთ ზამთრის სუსხში და რომელზედაც ვოხრავთ მთელის ოთხის თთვის განმავლობაში? მაგრამ, ჰა, მოაწია გაზაფხულმა და კიდევ არ დაუტკბია კაცი ცხოვრების მომნიჭებელს მზის შუქსა, არ მოგვიჯერებია გული და ყნოსვა ყვავილების სუნნელოვნებით, არ გაგვიძღია თვალი ამწვანებულის ტყე-ველის სინაზით და მშვენიერებით, როცა სულ სხვა არა სუნნელოვან და არა მშვენიერ საგნებზე უნდა მოვრთოთ ლაპარაკი... და არა თუ მარტო ჩვენ,—საზოგადოდ ყველანი ასე იქცევიან ეხლა. ყველას თვალში გაზაფხულის ნაზი და კეკლუცი სახე მტკიცედ დამოკიდებულია იმ საშინელ წარმოდგინებასთან, რომელსაც ძალა-უნებურად ჰბადებს ჩვენში ის გულ-ქვაი დედა-ბერი, რომელიც ჩამოთრეულა აზიიდამ და აგერ მესამე წელიწადია გაჟინებულ და გაკაპასებულ სიდედრსავით ჩასჯდომია სახლში საბრალო ევროპას... ეჰა, საკვირველებავ! რა ცვალებადია ქვეყანა, როგორ წარმავალია მისი სიძულვილი და სიყვარული?! დღეს რაც გვიყვარს, ის ხვალ გვძულს, დღეს რაც გვძულს და გვაშინებს, ის ზეგ საყვარლად და სასურველად გვეჩვენება!.. ამ «ფილოსოფიურს» აზრს, მე მგონი, არ აუხირდება არავინ, არც ცხოვრების მცოდნე და არც გამოუცდელი, არც სასიძო ყმაწვილი და არც უკვე «დაუღლეველი» და «გაბედნიერებული» ვაჟკაცი, რაკი მოიგონებს, რა წრფელის სიამოვნებით მოიღრეკდა ქედს, თუნდა ოთხსა და ხუთს სიდედრთა წინაშე, ოღონდ კი მოიშოროს თავიდამ ის დედა-ბერი, ის ზარ-დამცემი სიდედრი კაცობრიობისა, რომელზედაც ზემო ვსთქვით და რომელიც, როგორც მკითხველმა, რასაკვირველია, კარგად იცის, გახლავსთ ეგრედ-წოდებული «აზიელი ხოლერა»...

⁂

ეს ქალბატონი ისეთი ძლიერი რამ გამოჩნდა, რომ ლამის დაჰსთრგუნოს ჩვენი სახელოვანი სიზარმაცე და გამოგვიყვანოს შეურყეველ მამა-პაპურ განცხრომიდამ. ფიქრი მერმისის თაობაზე, ეს ჩვენთვის უცხო, მაგრამ მოძულებული სტუმარი, გვეწვია მოულოდნელად და დაგვიხატა თვალ-წინ სხვა-და-სხვა გვარი სურათი... შევკრთით და გავვოცდით!... თითქო ეხლა აგვეხილა თვალები, თითქო მარტო ეხლა დავინახეთ ის ტალახი და მწვირე, რომელიც გარს გვარტყია და რომელსაც სრულიადაც არ ვუფრთხოდით ამდეხანს... ქალაქებმა და დაბებმა ერთ-გვარის გულ-მოდ-

ეს ითქვა 1876 წ. და აი დღეს, ათს წელიწადს შემდეგ, იმავე სახელოვანმა გლადსტონმა იტვირთა ეგ დიდი საქმე, ფეხზედ წამოაყენა და 1872 წელს ცოტად გაღებული მის მიერვე კარი ახალის აზრის დასაბინავებლად, ეხლა თითქმის მთლად გააღო უშიშრად. წააგებს ამაში გლადსტონი, თუ მოიგებს; დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დღევანდელის დღის სატკივარისათვის, ხოლო ეს კი უეჭველია, რომ მერმისი მის მოძღვრებისაა და მოედანს მიწათ-მფლობელობისას მისი მოძღვრება დაიჭერს.

აი რა მიზეზით დასავლეთი ევროპა ესე გულ-მოდგინედ შეჰყურებს დღეს ინგლისის შინაურს საქმეს და თვალს არ აშორებს მოხუცებულ კაცს გლადსტონს, რომელმაც სიჭაბუკის სითამამით დ҃ მხნეობით დღეს ჭიდილი გაუბედა... წყობასა და მოხუცებულობისაგან დღე-მიწურვილი არ შეუშინდა არც კიცხვას, არც ლანძღვას, არც მუქარას მარტო იმის გამო, რომ სიმართლე თავის მოძღვრებისა ჰსწამს და ამ სიმართლით სურს ჩავიდეს საფლავში. Ո.

ახალი ამბავი

⁂ **ხვალ, ორშაბათს, 7 აპრილს, საღამოს 8 საათზედ**, კავკასიის შტაბის სამხედრო რჩევის ზალაში იქნება კრება საარხეოლოგიო და საისტორიო საზოგადოებისა. კრებაში შეუძლიანთ დაესწრნენ თვით გარეშე პირთაც.

პროგრამმა კრებისა:

1) **ლ. პ. ზაგურსკი** წაიკითხავს ნეკროლოგს ფ. ს. ბაიერნზე.

2) **დ. ზ. ბაქრაძე** წაიკითხავს «ხრონიკას კავკასიის არხეოლოგიისას $188^5/_6$ წ.».

3) **კ. ნ. როსსიკოვი** მოახსენებს ცნობას მისგან აღმოჩენილს არხეოლოგიურ ნივთებზე ჩეჩნის მთა-ადგილებში.

⁂ მეტად უჩივიან ჩვენის ქალაქის მეპურეებს, რომელნიც არც ნიხრს უყურებენ თურმე და როგორც უნდათ იმ ფასზე ჰყიდიან პურს. თეთრის პურის ფასს წითელს პურში ართმევენ და თუ ეტყვის ვინმე ამ ფასად ხომ თეთრი პური ჰღირსო, დაჟინებით არწმუნებენ ეს არის თეთრი პურიო, ამაზეა დაწესებული თეთრის პურის ფასიო. კარგი იქმნებოდა, რომ ამ საგნისთვის მიექცია ყურადღება ვისიც ჯერ არს.

⁂ საჩივარი გვესმის აგრეთვე ჩვენს ცხენის რკინის გზის ვაგონების გამო, რომელთა სიარულს რიგზე არ განაგებენ თურმე. მთელის ზამთრობით სახლებში შეკეტილს ხალხს გაზაფხულზე გასეირნება უნდა, ამწვანებულის ბაღებით სიამოვნება და აი ამისათვის ყველა მუშტაიდის ბაღისაკენ მიეშურება. გროვდება ხალხი, უმეტესად ჩვენი ხელოსნობა და მოვაჭრეობა, რომელთაც თავიანთ ჯალაბობით ამ ერთს თავისუფალს დღეს, კვირას უნდა ისიამოვნონ და მუშტაიდის ბაღში გაისეირნონ. ფაიტონით წასვლა ყველას ძვირად უჯდებათ და ამიტომ ცხენის რკინის გზით წასვლა უფრო ეხერხებათ, მაგრამ სად არის ცხენის რკინის გზა? გროვდებიან ვარანცოვის ძეგლთან და ელიან ამაოდ. მის მაგივრად, რომ ვაგონი მუშტაიდიდამ ვარანცოვის ძეგლამდე მიდი-მოდიოდეს, ვაგონები შეუსვენებლად მიემგზავრებიან თამამშოვის ქარვასლიდამ მუშტაიდამდე და ხალხი კი იქვე სდგას და გასეირნების მაგივრად მოუთმენელს მოლოდინშია. კარგს იზამდა ხსენებულის გზის გამგეობა ჯერ თავისთვის და მერე საზოგადოებისათვის, რომ უქმე დღეობით რამდენიმე ვაგონი მოემატებინა და ამით მდაბიო ხალხიც არ გამოეკლო ერთის დღის სიამოვნებისა და სეირნობისაგან.

⁂ სოფ. კახეთიდამ გვწერენ: აქაურს მასწავლებელს მოუვიდა ცნობა ბ-ნ ქუთ. გუბერ. საერო სკოლების დირექტორისაგან, რომ 7 აპრილისთვის უკეთუ წახვალ ქ. ოზურგეთს იქაურს აბრეშუმის «ქარხანაში» აბრეშუმის კეთების შესასწავლად გზის ფული 10 მ. მოგეცემაო. ამბობენ, რომ იქვე არიან მიწვეულნი ზოგიერთი სხვა სოფლის მასწავლებლებიცაო. სასიამოვნოა, რომ აბრეშუმის კეთების საქმეს ყურადღება მიაქციეს: ღმერთმა ქნას, რომ მალე გვენახოს ჩვენს ქვეყანაში აბრეშუმის კეთებისა, და აბრეშუმის ჭიის მოვლის სკოლები და ქარხნები.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ს. კუხში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც, თუმცა მთელს სოფელში ჯერ არ მძვინვარებს, მაგრამ, აქა-იქ კი ვისაც ეწვია, საქონელი აღარ შეარჩინა. მაზრის ექიმიც მოვიდა ამის გამო და რაც შეიძლებოდა საშუალება მიიღო.

⁂ ქ. ქუთაისიდამ, გვწერენ: აქ ამ დღეებში ერთმა გლეხმა სარაჭიანი თაფლი ჩამოიტანა გასასყიდად. თაფლი მშვენიერი იყო. ფუთს აფასებდა 3 მ. აძლევდნენ 2 მ. და კიდევ იმას აყვედრიდნენ, რომ «სარაჭიანია, ამდენი რად უნდა ჰღირდესო». მაშინ როდესაც თაფლის ფასსაც ნახევარს არ აძლევდნენ და სანთელი კი, რომელიც თაფლზედ ათჯერ ძვირია, ტყუილად რჩებოდათ. მაინც გასაკვირველია ჩვენი საქმე; რაც არა გვაქვს, ხომ არა გვაქვს, და რაცა გვაქვს, იმასაც თავის ფასად ვერ ვყიდით!!

⁂ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ს. ყიფიანი გვწერს, რომ დაბა ძველ სენაკში ეს ორი თვეა ყვავილი მუსრს ავლებს აქაურს მცხოვრებლებსო. ამ სენმა მით უფრო გაიდგა ფეხი, რომ ყვავილით მიცვალებულებს თვით შუა დაბაში, ორ (სააზნაურო და საგლეხო) სასწავლებელთ შორის ეკკლესიის გალავანში ასაფლავებენო. ამ გარემოებამ გვაიძულა, და, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მზრუნველ კომიტეტის განჩინების თანახმად, სასწავლებელი დავხურეთ და ყმაწვილები დაეითხოვეთ 12-ს მარტს, ავად მყოფის გადაკვეთამდისო. (გაზ. «მწყემსი»)

⁂ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, კვალად ატეხილა ლაპარაკი კავკასიის უმთავრესს ქედზედ რკინის გზის გაყვანის შესახებ. გზა უნდა გამოიყვანონ ვლადიკავკასის რკინის გზის დარგ-კოხის სადგურიდამ, გორამდე. პროექტით გზის სიგრძე განსაზღვრულია 183 ვერსტი, ამ რიცხვიდამ 6 ვერსზე უმეტესი გვირაბით გზა უნდა იყოს. გზის გაკეთების ყოველივე ხარჯი 38.500,000 მან. — 46.500,000 მანათამდეა გამოანგარიშებული. გზის გაკეთება ხუთ-ექვსს წელს გასტანსო.

⁂ წარსულის თვის მარტის განმავლობაში ტფილისში შემდეგი 38 სხვა-და-სხვა ამბავი მომხდარა: 1 ცეცხლი გაჩენილა, 7 ფათერაკად მომკვდარა, 2 თვით-მკვლელობა ყოფილა, 22 მკვლელობა, 9 ძუძუთა ყმაწვილი სამღლოთ დაგდებული უპოვიათ, 2 გაუცაცვავთ, 3 ქურდობა ყოფილა, დაუჭერიათ ერთი პოლკიდგან გამოქცეული ჯარის კაცი. (გაზ. «Нов. Обоз.»)

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის გუბერნიის საქმეთა გამგეობას წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ შეადგინოთ კომისსია, რომელმაც გასინჯოს დღესასწაულების გამო ქალაქში მრავლად გასასყიდი ღორი და ღორის ხორციო. უეჭველია, ეს სასარგებლო წინადადება მიღებულ იქმნება ქალაქის გამგეობისაგან და მდაბიო ხალხი უფრო დიდის ნდობით და დარწმუნებით იყიდის ხსენებულს ხორაგს.

—

⁂ 4 აპრილს, პოლიციის 7 განყოფილებაში, კასპის გზა-ტკეცილზე, ჩითახოვის ახანოს პირ-და-პირ ტუსაღი უსეინ-აბრამ ოღლი, რომელიც ჯარის კაცთ მეტეხის ციხიდგან სამხედრო საავად-მყოფობაში მიჰყვანდათ, გაექცათ, მაგრამ პოლიციის მოხელემ ანტონ ოლშევსკიმ და უნტერ-აფიცერმა ტფილისის პოლკისამ ანდრე გულიკოვმა ისევ [illegible] უკან დაუბრუნეს გუშაგებს.

⁂ 4 აპრილს, მე-7 განყოფილებაშივე, ავლაბრის მეიდანზედ ქალაქის ექიმმა ვერმიშოვმა ამ განყოფილების პოლიციის პრისტავის თანადასწრებით გარაპეტ გრიქუროვის დუქანში 300 ცალამდე გაფუჭებული დამარილებული თევზი აღმოაჩინა და წყალში გადააყრევინა.

⁂ 4 აპრილს, პოლიციის მე-9 განყოფილებაში გრენადერთ-მინგრელიის პოლკის პოდ-პორუჩიკის გარაბაშევის სახლიდგან ვიღაცას გაუტანია ოქროს საათი ოქროსავე მეწკვით, 200 მანათად ღირებული. გამოძიება ჰსწარმოებს.

⁂ მირზოევის ბამბის საფეიქრო ქარხანამ, რომელიც აქამდინ საფრანგეთის ქვეშევრდომ რიშარსა ჰქონდა იჯარით აღებული, 1 აპრილს იჯარის ვადის გასვლის გამო შეაყენა მუშაობა და ამის გამო 300-ს კაცზედ მეტი მდაბიო ხალხი უსაქმურად დარჩნენ.

ნაკვესი

მეფე ერეკლე ყარაიაში წაბრძანდა დედოფლითურთ და ხის ძირს ჩამოხდა შესასვენებლად. ამ დროს გამოიარა ერთმა აზნაურშვილმა, რომელსაც თან ქალი მოჰყვანდა თურმე.

— გამარჯვება! მოახსენა მეფეს, რომელიც არ ენახა და ვერ იცნო.

— გაგიმარჯოს!

— საით მიბრძანდებით აქედ? ჰკითხა აზნაურშვილმა.

მეფე ერეკლე გაუხუმრა:

— მოვსულვარ ყარაიას,
გაშენებ სარაიას,—
თუ ამ შენს ქალს დამითმობ,
ჩავაცმევ დარაიას.

ამაზე აზნაურშვილმა მიუგო:

— არც მოვსულვარ ყარაიას,
არც გაშენებ სარაიას;
ქალი ქალში გამიცვალე,—
რას გაქნევ შენს დარაიას!

ლელო

გინებით გადაავლეს თვალი თავიანთ მიდამოს და მომართეს ჩივილი ერთსა და იმავე საგანზე!... «—გაზაფხული მოდის, დრტვინავს ქუთაისი, და არავინ კი არ აქცევს ყურადღებას იმ ავგიოსის ბოსელს, რომელიც ჰშხამავს და სწამლავს არე-მარეს. ტალახი და მტვერი, ყოველ-გვარი სიბინძურე ეზოობაში და განსაკუთრებით ურიათ უბანში,—აი გულ-უხვი მასპინძელი მომავალის «აზიელის სტუმრისა...» «—ჩვენც ამ გვარ უბედურებაში ვართ, უმატებენ გორელები, ჩვენც არ ჩამოვურჩებით ქუთაისელებს სტუმრის პატივისცემაში, თუ ის ცხრა-მთას იქით გადასაკარგი ჩვენსკენ გამოემგზავრაო...» ამავე შიშსა და საფრთხეში არიან სიღნაღი, თელავი და სხვა წვრილ-წვრილი დაბა-ქალაქები ჩვენის ქვეყნისა. ყველა აქებს თავის მოწყობილობას «სტუმრის» მისაღებად და ყველას ეშინიან ამ სტუმრისა. ასე წარმოიდგინეთ, რომ დ. ოჩამჩირეც, რომლის დაბობა, გარდა მენავე თათრებისა და მეთევზეებისა, არც კი სწამს არავის და რომლის არსებობა ბევრს არც კი შეუმჩნევია დღემდის,—დიდ ფაცაფუცში და თავის მტვრევაშია მოსალოდნელ უბედურებისა გამო. ოჩამჩირელებს მხოლოდ ეხლა გაახსენდათ, რომ მათი ყოველ-დღიური ცხოვრება, დინჯად და მიუდგომელად რომ განსაჯოს კაცმა, ცხოვრებაც არა კაცური, არამედ განუწყვეტელი შიმშილ-წყურვილია, ყნოსვა-მხედველობის შეურაცხჰყოფა და სხვა ამ გვარი გრძნობათ დამამცირებელი უბედურება. «და მიუხედველად ამისა, ათავებს თავის წერილს ერთი იქაური კორრესპონდენტი, თუ სადმე გამოჩნდა ის «ძალად-სტუმარი», პირველად ჩვენთან მობრძანდებაო, რადგანაც ზღვის პირათ ვართ და ყველაზე უწინარეს პურ-მარილს ჩვენგან მოითხოვსო. ერთის სიტყვით, როგორც იტყვიან ჩვენში, ზოგი ჭირიც მარგებელი ყოფილა. თუ შეგვაშინა ხოლერამ, მაგიერად, ეს შიში ცოტად მაინც გამოგვაფხიზლებს და გაგვწმენდს ბინძურობისა და მწვირისაგან, და ესეც კარგია!....

⁂

ეს შიში და გამოფხიზლება დაეტყო ტფილისსაც. გაზაფხულის პირველმა ღიმილმა ჩვენც მოგვიტანა მუქარა და ყვავილების გაშლასთან ერთად დაიბადა ავ-სუნნელოვნობაზედ ლაპარაკი. ეს გასაკვირველიც არაა: ტფილისი თავის ბინძურობით თუ გადააჭარბებს, თორემ არ ჩამოურჩება უკან არც ერთს ჩვენს ქალაქს. მაგრამ ტფილისმა იმით ისახელა კიდევ თავი, რომ შეჰქმნა, გააპტყელა და გააჭიანურა ერთი მეტად მწვავი საგანი, სახელდობრ,—ძაღლების სვებედის გადაწყვეტა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ დედა-ქალაქში «ოთხ-ფეხნი მეგობარნი კაცობრიობისა», როგორც ეძახიან ძაღლებს, მეტის-მეტად გამრავლდნენ და გადიდგულდნენ,—«ტფილისის პირუტყვთა დამცველ საზოგადოების» მფარველობის ქვეშ, რასაკვირველია, ასე რომ «არა ჩვეულებრივ სახსარის» მიღება გახდა საჭირო. ყოველ ქუჩაზე და განსაკუთრებით განაპირებულს უბნებში შეხვდებით მთელს გროვას ძაღლებისას, რომელნიც «უტიურნიურო», მაგრამ კუდოსანის და არა-ქუდოსანის თავოსნობით, არჩევენ რაღაც — უსათუოდ თავისებურ «აღმოსავლეთის საქმეს»,—ან და მიეცემიან განცხრომას. ამაში კიდევ სამწუხარო არაფერი არ იქნებოდა, რომ ცოტა მაინც სარცხვილი და მორიდება ჰქონდესთ ბბ. ოთხ-ფეხ მებჭეთ გამვლელ-გამომვლელისა. მაგრამ, საუბედუროდ, ესეც არაა: მათ თავ-გასულობამ იქამდის მიაღწია, რომ სასეირნოთ გასულმა ტფილისელმა ყოველ-გვარი ზომა უნდა მიიღოს თავის მოსაგერებლად: უნდა აღიჭურვოს ჯოხით, დამბაჩით, თოფით და, თუ შეიძლება, სიდედრიც გაიყოლიოს თან მცველად...

რა გასაკვირველია, მაშასადამე, რომ ყველა ქუდოსანი ასტყდა ამ მტერზე უარეს კუდოსანთა მეგობართა წინააღმდეგ: გაზეთები აყაყანდნენ, პოლიცია შეუდგა უკვე ამ საქმეს. მაგრამ არც მოწინააღმდეგენი არიან თავის თავის ანაბარად, მათაც აუჩნდათ მეგობრები, რომელთ შორის ყველაზე უფრო საიმედო ჯერ, რასაკვირველია, «პირუტყვების საზოგადოებაა» და მემრე... ქალაქის გამგეობის სიზარმაცე.

⁂

— სულ ტყუილია, რასაც გვემუქრებიან ჩვენი მოსისხლე მტერებიო, მჭევრ-მეტყველობდა თურმე ერთი ოთხ-ფეხი ორატორი ძაღლების მიტინგზე ამ რამდენიმე დღის წინედ. დეე! გაზეთები ამხედრდნენ ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენ გვყავს ჩვენი «საზოგადოება», რომელიც, ეჭვი არაა, დაიჭერს დევნილთა მხარეს, გვყავს «პუბლიცისტები», რომელნიც სასიქადულოდ ჰხადიან ჩვენებურად მოიქცნენ, შეაჩვიონ ადამიანი ჩვენს ხასიათს და ჩვეულებას და ჩვენივე სახელით მოიპოვონ დიდება მწერლობაში. ბოხვერა ძაღლების პიროვნობა, ზოგიერთ «პუბლიცისტების» მეოხებით, იმდენად დაცულია დღეს, რომ უმართებულოდ ჩვენი დასჯა არ ვის არ შერჩება ტყვილა-უბრალოდ. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ არა გვჯერა, რომ ჩვენი სიმრავლე და ის მეტ-ნაკლები თავისუფლება ქუჩებში სეირნობისა, რომელიც ჩვენ დავიკუთნეთ, აძლევდეს ვისმეს სიმართლეს მოგვეპყრეს ასე სასტიკად. მოიგონეთ, ბატონებო, რამდენი ჩვენსავით უქმად მჭამელი და უთავ-ბოლოდ მაწანწალა ორ-ფეხნი დაეხეტებიან ქალაქში,— ნუ თუ ისინი მარტო იმისთვის უნდა იყვნენ კანონის მფარველობის ქვეშ, რომ შეცდომით ოთხიდამ ორი ფეხი დაუკლია მათთვის ბუნებას?!.—უთავ-

კავკასიის გეოგრაფიის საზოგადოების სხდომა.

რუსების ბუნების-გამომკვლევლთა შორის, რომელთაც ჩვენი ქვეყანა მეცნიერულად შეუსწავლიათ, ბ-ნმა ბოგდანოვმა დიდის პატივით მოიხსენია განთქმული მეცნიერი ბ-ნი კესლერი, აწ გარდაცვალებული. კესლერს ფრინველების გარდა, კასპის და შავის ზღვის თევზეულობაც გამოუკვლევია. ბ-ნი ბოგდანოვი ამ გამოკვლევას ერთს საუკეთესო და ძვირფასს შრომად აღიარებს. შავი ზღვა უფრო მდიდარი ყოფილა როგორც თევზებით, ისე სხვა ზღვის ცხოველებითაც, ვიდრე კასპისა. ეს გარემოება კესლერს ასე აუხსნია. ერთს დროს შავი და კასპის ზღვა ბუნებითის არხით ყოფილან შეერთებულნი. ამის გამო თევზები და სხვა ზღვის ცხოველებიც ამ ორივე ზღვაში ერთი და იგივე ყოფილა; ამისავე გამო, ესლაც, რაც კასპის ზღვაში მოიპოვება, ის შავ ზღვაშიაც არის: ამ ზღვების ცხოველების ერთ-გვარობა და მგზავსება ძველის დროის ერთობის ნაშთიაო. ბოლოს ეს შეერთებული არხი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, რომელთაც ნამდვილად ვერ დავასახელებთო, სრულიად მოსპობილია. კასპის ზღვა განცალკევებული დარჩომილა, ზღვა დიდ ტბად გადაქცეულა, შავ ზღვას კი გასავალი გზა უპოვია და თავის წყლები ხმელთა შუაზღვისათვის შეურთავს. ამ ზღვიდამ, რასაკვირველია, ბევრი იმ გვარი თევზი და სხვა ცხოველი შემოვიდოდა შავ ზღვაში, რომელიც წინად, არც აქ და არც კასპის ზღვაში არა ყოფილა, აი ამითი ხსნის თურმე კესლერი იმ გარემოებას, რომ ესლა შავ ზღვაში უფრო სხვა-და-სხვა გვარი თევზეულობა და სხვა ცხოველი მოიპოვება, ვიდრე კასპიისაში. თუმცა ბ-ნ კესლერის შრომა სრულის პატივისცემის და ყურადღების ღირსიაო, განაგრძო ბ-ნმა ბოგდანოვმა, მაგრამ ვერც კესლერს, ვერც მე და ვერც სხვა მეცნიერს, რომელიც ერთის გავლით, ერთის თვალის გადავლებით იკვლევს რომელსამე მხარეს,—ვერ შეუძლიან დაწვრილებით, რიგიანად შეისწავლოს ეს მხარე. ჩვენ ბოგანად მოარულნი ვართო; ჩვენ ბუნების გამომკვლევლნი ვართო. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ გზა ვუჩვენოთ იმათ, ვისაც მხარე შესწავლილი აქვს და ადგილობრივ მუშაობაც შეუძლიან,—და მერე ამათ მოგროვილ მასალას მეცნიერული ნათელი მოვფინოთო. მხოლოდ ადგილობრივ ბუნების გამომკვლევლს შეუძლიან ნამდვილი, ღირსეული განძი შესძინოს მეცნიერებას. ჩვენ დიდი ხანია მოუთმენლად მოველოდითო ამ გვარ შრომასა. ბოლოს თითქოს გვეღირსა და ჩვენი ნატვრა აგვისრდაო. გამოვიდა ბ-ნ რადეს შრომა კავკასიის ფრინველებზე. ბ-ნ რადემ ოცი წელიწადი მოანდომა თავის შრომასო, ამიტომ ამისი ჩვენ დიდი იმედი გვქონდაო, ვფიქრობდით, ბევრს რასმე ახალს გვაცნობებსო, მაგრამ იმედმა გვიმტყუნა,—ეტყობა ოცი წელიწადიც საკმაო არა ყოფილა, რომ ხეირიანი შრომა გამოსულიყო. შრომა, მართალია, დიდია, ვრცელიაო, მაგრამ... საქმე სიდიდე კი არ არისო, შინაარსი ღირსებააო. ამ შრომამ ვერ შეავსო ის ნაკლი, რომელსაც ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა ჰგრძნობდა კავკასიის შესახებო. ამ შრომის შემდეგაც ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭიროვო. ჩვენ გვინდა ფაქტები და არა ავტორის მოსაზრებანიო.

(შემდეგი იქნება)

დამაკვირდი!

უქმობა ყველა სენზედ უფრო მეტად აუძლურებს ვაჟ-კაცობასა. (მონტესკიო)

⁂

რაც გინდა დიდი უბედურება შეგვამთხვიოს ბედმა, ყველას გაუძლებთ, თუ უბედურებას სინიდისის ქენჯნა თან არ მოსდევს. (დარკონვილი)

⁂

ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდია (ვოლტერი)

⁂

მშვილდით ნასროლი ისარი
წავა, ვით ქარი ზენანი,
წამხდარს საქმესა რას არგებს
მას უკან თითზედ კბენანი!..
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

სჯობს საქმე უხმო სიტყვასა,
თქმულსა არ გათავებულსა:
თქმა და არა ქმნა სარცხვენელ
ჰყოფს კაცსა გათავებულსა.
(არჩილ მეფე)

⁂

ვით მე არ მინდო ცრუმან სოფელმან
ვგრძელდე, ვგონებ, არცა შენ გინდოს;
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენც შენი ცოდვა შეგინდოს.
(დავით გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთის პოლშურის ჟურნალის რედაქტორს კრიტიკულის წერილის დაბეჭვდა განუზრახავს ტენზედ, რომელიც საფრანგეთის განთქმული ისტორიკოსი და კრიტიკოსია და თანაც მოუწადინებია ამ წერილშივე ტენის სახე-სურათის ჩართვა. ამის გამო რედაქტორს ტენისთვის მიუმართავს და ფოტოგრაფიული სურათი უთხოვნია. ამაზედ ტენს შემდეგი პასუხი შემოუთვლია რედაქტორისთვის:

> ჩემი ცხოვრება საინტერესოს ბევრს ვერაფერს წარმოადგენს, ყველაზე შესანიშნავი და საყურადღებო შემთხვევა, და თავ-გარდასავალი ჩემის ცხოვრებისა—ჩემი თხზულება და ნაწარმოებია. ჩემი მეგობარი რენანი სიამოვნებითა სწერს თავის საკუთარ ცხოვრების აღწერას; გამოჩენილ ინჟენერ ლესსეპს უყვარს თავის თავზე საქვეყნოთ ლაპარაკი. მე ქვეყანას განვშორდი, ცალკე ვარ და ცალკე ვსცხოვრობ და არცა მსურს ჩემი კერძო ცხოვრების საიდუმლო საქვეყნოდ გამოვაცხადო. მე იმასაც კი ვცდილობ, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი მიწერ-მოწერა ხელში არავის ჩაუვარდეს, და ტყუილ-უბრალოდ ჩემი სახელი არა სთელონ. ყველას უარს ვეუბნები, ვინც მე ჩემს სურათსა მთხოვს: მე არა მსურს, რომ რომელსამე სამხატვრო ჟურნალში ჩემი სურათი ვიღაცა შარლატანების და მოცეკვავ-ქალების სურათებთან ერთს რიგში მოჰყვეს.

ერთის სიტყვით ტენი იმ აზრისა ყოფილა, რომ

მშვიდთა, მდაბალთა მზამველნი
უცილოდ ამაღლდებიან.

⁂

გრაფ ლ. ტოლსტოის ახლა ქალებისთვისაც მოუცლია. ერთ ექიმ-ქალთან ლაპარაკი ჰქონია და სხვათა შორის უთქვამს, რომ უმთავრესი დანიშნულება დედაკაცისა დედაობაო. აი გაზეთ «Новое Время»-ში რასა ვკითხულობთ:

> ისინი კი არ არიან დედა-კაცებიო,—უთქვამს ტოლსტოის, ვინც მუდმივ თავის ტანის სიტურფესა, ტიურნურებსა, დალალკავებსა და კაცებთან ტრფიალობაზე ჰფიქრობენო, და თავის უნებურად, რაღაც შემთხვევით, წინ დაუხედავობით და ზიზღით შვილებსა ჰბადვენ და მაშინვე ძიძებს მიუყრიან ხოლმეო. ვერც ისინი ჩაითვლებიან დედა-კაცებად, რომელნიც მაღალ სასწავლებლებში მირბიან, სხვა-და-სხვა მაღალ მეცნიერულ სიტყვებს სწავლობენ და ამ გვარ თავ-ბრუს დასხმას—გონების გახსნას ეძახიანო; ესენიც ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ თავი დაახწიონ შვილების ყოლას. არა, ამათ ვერ ვახსენებთ ნამდვილ დედა-კაცად, ნამდვილი დედა-კაცები და დედები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც სრული შეძლება აქვთ თავიდამ აიცილონ შვილების ყოლა და ამას განგებ და განზრახ არა სჩადიან; არა, ესენი პირიქით თავის საკუთარის ნებით და სრულის გონებით ემორჩილებიან ამ შეურყეველ, უცვალებელს კანონს ბუნებისას, რადგანაც კარგად ესმით, რომ მშობიარობის სიძნელესა და ტანჯვაშია მათი ცხოვრების დანიშნულება. აი ესენი არიან ნამდვილი დედა-კაცნი და დედები, აი ამათგან უნდა მოელოდეს თავის-ხსნას კაცობრიობა, რომელსაც ეხლა ათასი ბოროტი და მწიკვლი სრულიადა ჰხრწნის.

ამის გამო სამართლიანად უსაყვედურებს გრაფ ტოლსტოის გაზეთი «Русскій Курьеръ»-ი. გულ-მოსული გაზეთი იძახის:

> მაშ გამოდისო, რომ გარყვნილი, ცუდის ყოფა-ქცევის ქალი, შვილის მკვლელი დედა, გულ-და-მკლავებ გადალეღილი ხასა და განათლებული, გონება გახსნილი ქალი, გრაფ ტოლსტოის ბრძნულის ფილოსოფიით, ერთ რიგში, უნდა დავაყენოთო, ყველანი ერთ-გვარად მისგან მოგონილ კანონის წინააღმდეგად უნდა ჩავთვალოთო... დაჰფიქრდით, ბატონო, რას ამბობთო!...

მართლა და რომ არც ძალიან ჭკუის დატანება ვარგებულა!

⁂

ციურიხელი კორრესპონდენტი «Русскій Курьеръ»-ისა იწერება, რომ ციურიხის უნივერსიტეტში ყოფილა:

> 1870—71 წლამდე ოც-და-ორი სტუდენტი ქალი, მათ შორის შთამომავლობით 16 რუსი, 1 შვეიცარელი, 1 ნემეცი, 1 ავსტრიელი, 2 ინგლისელი და 1 ჩრდილოეთ ამერიკელი. განსაკუთრებით მატულობდა თურმე მოსწავლე ქალთა რიცხვი რუსეთიდამ: 1872—73 წ. მათი რიცხვი ავიდა 96-მდის, ხოლო შემდეგ სემესტრში კი 114-მდის, მაგრამ, მაშინდელი რუსთა სიმინისტროს განკარგულებისა გამო, რუსის ქალებს აღეკრძალათ ციურიხში ყოფნა და ბევრნი მათგანნი იძულებულნი იყვნენ გადასულიყვნენ სხვა ქალაქებში.

ეხლა, ამბობს კორრესპონდენტი, სხვა და სხვა შვეიცარიელ უნივერსიტეტებში სულ 140 მოსწავლე ქალი ითვლებაო.

⁂

სახუმრო ჟურნალს «Осколки»-ებს მოჰყავს ერთი მეტად სასაცილო სცენა, რომელიც მომხდარა ხერსონის ოლქის სასამართლოში. ერთის საქმის გარჩევის დროს:

> ერთს ნაფიცს მსაჯულს დასძინებოდა თურმე. სასამართლოს დარბაზში მოისმა ხვრინვა. თავს-მჯდომარემ უბრძანა გაეღვიძებინათ მძინარე მსაჯული.
>
> **თავს-მჯდომარე.** ბ-ნო მსაჯულო! თქვენ გძინავსთ?! არ შეიძლება სასამართლოში ძილი.
>
> **ნაფიცი მსაჯული.** მე არა მძინავს... მე ისე... მუცელი ამტკივდა, ბ-ნო თავს-მჯდომარე.
>
> **თავს-მჯდომარე.** ეს სულ ერთია. გტკივათ, თუ არა გტკივათ, ძილი მაინც არ შეიძლება. მოიგონეთ, ფიცი გაქვსთ მიღებული.
>
> **ნაფიცი მსაჯული.** (ნამძინარევი ვერ მიხვდება თავს-მჯდომარეს სიტყვებს და უპასუხებს) მივიღე, როგორ არ მივიღე, ბ-ნო თავს-მჯდომარე, მაგრამ რომ აღარა მარგო-რა...

უცხოეთი

სერბია. ერთის ვენის გაზეთის კორრესპონდენტს შემდეგი ლაპარაკი ჰქონია ექს-მინისტრ რისტიჩთან, მას შემდეგ, როცა მისმა დღე-ნაკლებმა სამინისტრომ ვერ იხეირა:

— თქვენო აღმატებულებავ, ვუთხარი

ბოლოდ ჰყეფთო, ყურთა სმენა არაა ქუჩებშიო!

— ეჰა, უსამართლოებავ! რაც უთავ-ბოლო ლაყბობა და უმართებლო ლაპარაკია სხვა-და-სხვა სალაყბოებში, რომელთაც ჩვენი მტერები ხან «რჩევას» და ხან «საზოგადოებას» ეძახიან, ის რომ შეუწონონ ჩვენს, უტყვთა მეტყველებას, ნუ თუ ეს უკანასკნელი ისე გადააჭარბებს, რომ სიკვდილით დასჯას გვემართლებოდეს?.. ერთად ერთი თავის გამართლება ჰქონდათ დღემდის ჩვენს მტერებს—შიში ცოფისა, იმ საშინელის ავადმყოფობისა, რომელიც ამდენ ხანს გამოუკვლეველი იყო და რომლისაგან თავის დაღწევის სურვილი მცირეოდენს საბუთს აძლევდა მათ მოქმედებას. ეხლა კი ეს საბუთიც გაუქმებულია პასტერის წყალობით!.. მაშასადამე რაღა საბუთი დარჩათ ეხლა ტფილისელებს ჩვენზედ გამოლაშქრებისათვის?!. მაგრამ, მეც აეხირებულვარ და საბუთსა ვსთხოვ იმათ, ვისაც სჩვევია უსაბუთოდ ქცევა, ვისიც უსამართლო ყურადღებამ, სულ რამოდენიმე დღეა მას აქეთ, იქამდის მიიყვანა ერთი თანამედროვე ფილოსოფოსი და დიდებული «კლიტიკოსი», რომ წარმოათქმევინა შემდეგი მშვენიერი მკაფიო ლექსი, რომლითაც ვათავებ მეც ჩემს სიტყვას:

«კუდა პაიდოშ, კამუ სკაჟუშ,
ვის მიმართოთ, ანუ სითა,—
არე-მარე მოცულია
«ჯანყითა და ბურუსითა!...»

დიდი და ღრმა ზედ-მოქმედება იქონია თურმე ამ მოხდენილმა სიტყვამ პატივცემულ შეკრებილობაზე, მაგრამ რით გათავდება ძაღლების საქმე,—ეს, როგორც ამბობენ, ყველასათვის და, სხვათა შორის, თვით ორატორისათვისაც, დარჩა მაინც გარემოცული «ჯანყითა და ბურუსითა»...

⁂

ვსთქვათ, ძაღლების დახოცვა ცოფის მიზეზს მოაშორებს ადამიანსა, ვსთქვათ ხოლერა გაგვიწმენდს ჰაერსა და ქუჩებსა, ხოლო რა წამალია იმისთანა, რომ ზნეობრივი მწიკვლი, ბინძურობაც აგვაცილოს და მოგვაშოროს. ნეტავი ამასაც თავისი ხოლერა ჰქონდეს, აგება მაშინ მაინც გაგვესუფთავებინა ჩვენი ზნეობა. ამისთანა საფრთხე, როგორც ეტყობა, საჭიროა ქუთაისისათვის. იქ თურმე იმისთანა გმირები გამოჩენილან, რომელთაც აბეზარს მოიყვანეს მთელი საზოგადოება. აი რას იწერება ერთი ქუთაისელი:

> «გუშინ წინ გაქურდეს აქ ერთის თავადიშვილის ოჯახი. ქურდები შესულიყვნენ ზალაში და იქ რაინდულად მძინარე სტუმრებისათვის რაც რამ გააჩნდათ სულითხორცამდე, ამოეცალათ. აქ საკვირველი მხოლოდ ის არის, როგორ მოხდა ეს ქურდობა, როდესაც მთელი ზალა გამოტენილი იყო თურმე იმ ერთ-გვარის ყმაწვილებით, რომელთ «დარდიმანდობას» და შეუსაბამო საქციელს არა სანატრელის თვალით უყურებს მართებული კაცი, გარდა იმ ფერიებისა, რომელთათვისაც ეს კადნიერი გუნდი ერთ-ნაირს იდეალს შეადგენს თურმე. ეს უცნაური რაინდები სულ გიმნაზიის მეორე და მესამე კლასებიდამ გამოსული ყმაწვილ-კაცობაა. რასაკვირველია, მათზე ლაპარაკი არც ღირს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მათი გუნდი დღეს ერთს საზოგადოებურ ტკივილს შეადგენს. მართლაც, რა მაგალითი უნდა დაინახოს ჩვენმა მოზარდმა ახალ-გაზრდობამ ამ გმირების შემხედვარე?!.. მუდამ დღე ფაიტონებში სხედან და ზურნა-დაფით დააჭენებენ ქუჩა-ქუჩა; მათს წინა-დაუხედავს საქციელს თეატრში და სხვა საზოგადო ალაგებში სამზღვარი ხომ არა აქვს და სხვა...»

ჩვენ კარგად გვესმის და ვაფასებთ იმ სამართლიანს გულის წყრომას, რომელიც გამოსჭვირს ზემო-მოყვანილ წერილის ყოველ სტრიქონიდამ, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ცოტა არ იყოს ჩვენც დამნაშავენი ვართ ამ სამწუხარო მოვლენაში. იმის მაგიერ, რომ ამ გვარი გმირები ცოტა მაინც შევაკავოთ და ვუჩვენოთ თავიანთი ალაგი, ჩვენ არ ვერიდებით, არა ვთაკილობთ და, საზოგადოდ, ყოველ იმ პატივისცემას ვუწევთ, რომელიც მოსათხოვნელია კაცთა შორის. რასაკვირველია, რომ, სანამ ყოველ უქმად მოარულთათანა დაახლოვებას არ მოვერიდებით, მათი გასწორება შეუძლებელია. მათი გამასწორებელი მხოლოდ ის გრძელი გზაა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ და რომელსაც ისინი, გვიან თუ მალე, ვერ ასცდებიან, თუმცა მეორეს მხრით, ვაი იმ საზოგადოებასაც, რომელსაც ამ ნაირი სატკივარი აუჩნდება და ამ ნაირი წამალი-ღა აქვს სახსრად მიღებული. ჰმ! კარგი იმედია, არა? —ჩვენს დროში, ჩვენს მდგომარეობაში და ამ გვარი ახალ-გაზრდობა!...,

ილ. ხონელი

მეო, ამბობს კორრესპონდენტი, ოთხმა გარემოებამ დაგვიშალათ, რომ თქვენი სამინისტრო ვერ შესდგაო. ეს ოთხი გარემოება იყო: ფინანსები, ჯარი, მიტროპოლიტი მიხეილი და... რისტიჩმა აღარ გამათავებინა სიტყვაო.

— პირველი ორი გარემოება სრულიად საკმარისია, მითხრა რისტიჩმა. თქვენ იცით ძალა ციფრებისა? აი მოისმინეთ შემდეგი ანგარიში: სერბიის ბიუჯეტი სულ 46 მილლიონი დინარია, მაგრამ ომის შემდეგ და მოუსავლობის გამო შეიძლება შემოსავალი შემცირდეს და მხოლოდ 36 მილლიონი-ღა იყოს. სარგებლისა და ვალის გადახდისათვის საჭიროა 15 მილლიონი, ჯარს უნდება ყოველ-წლივ 14 მილ. და კოროლის ჯარს 1.200,000 დინარი. სულ 30.200,000. დანარჩენის ხარჯისათვის მხოლოდ ექვსი მილლიონი-ღა რჩება, როდესაც ადმინისტრაციისათვის საჭიროა კიდევ 14 მილლიონი. მაშასადამე გვაკლდება 8 მილიონი. საიდამ უნდა ვიშოვოთ ეს ფული? ან უნდა ახალი ბეგარა და ხარჯი დაადო ერს და ან ძველს მოუმატო. მე ეს არ მინდოდა, რადგანაც ცუდი იქმნებოდა ხალხისათვის. შეიძლება მხოლოდ სამხედრო ხარჯი შემცირდეს 8 მილლიონამდე. კოროლს მოვახსენე ეს. მე მიყვარს ჯარი, მაგრამ ერის კეთილ-დღეობა ჩემთვის უმჯობესია და უპირველესი. კოროლი ყველაფერზე დამეთანხმა, მაგრამ ჯარისთვის ხარჯის შემცირებაზე კი ვერ დავათანხმე. ხოლო ეს საგანი-კი ქვაკუთხედი იყო ჩემის საფინანსო პლანისა.

— ბატონო, წინად, როცა თქვენ რეგენტად იყავით თქვენვე შეადგინეთ კონსტიტუცია, რომლის ძალითაც კოროლს ცალკე პოლკი ჰყავს თავისთვის.

— დიახ, ეგ მართალია . . . ყველა ამაზე მე და კოროლი თანხმანი ვართო.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვკითხე მე, გარეშე პოლიტიკის შესახებაც თანხმანი ბრძანდებით კოროლთან? მეტადრე იმის შესახებ,—თუ როგორ უნდა უცქეროდეს შემდეგში სერბია ავსტრიას. სერბიის სახელმწიფო კაცნი, იმის მიხედვით, სადაც აღიზარდნენ, მიაჩნიათ ფრანგებათ, ნემეცებათ და რუსებათ. მაგალითებრ, გარაშანინი ფრანგად მიაჩნიათ, პეტროვიჩი—ნემეცათ, თქვენ-კი, თუმცა ბერლინში სწავლობდით და იქ აღიზარდენით (რისტიჩი გლეხის შვილია, სახელმწიფო ხარჯით გაიზარდა ბერლინში და მიიღო დიპლომი ფილოსოფიის დოქტორისა), მაგრამ რუსათ ითვლებით.

— მაგის შესახებ—მიპასუხა რისტიჩმა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი აზრი ასეთია: ყველა დიდ სახელმწიფოებთან მეგობრობა უნდა ვიქონიოთ. მათ რიცხვში ავსტრო-ვენგრიასთანაც და რუსეთთანაც უნდა განვაახლოთ ცოტაოდნად შერყეული მეგობრობა. რუსეთი კარგად არის თქვენ სახელმწიფოსთანა და გერმანიასთან და რატომ ჩვენ-კი არ უნდა მივეკედლოთ სამთა-კავშირს.

— ბისმარკის წესიც ეგ არის, ბატონო: ჩემის მეგობრების მეგობარნიც ჩემი მეგობრები არიანო.

— დიახ, მე კიდევ შორს მივდივარ: მე მინდა მეგობრობა ბოლგარიასთანაც, რუმინიასთანაც და საბერძნეთთანაც. მეგობრობა სახელმწიფოების საძირკველია ჩემის პლანისათვის ჯარის შემცირების შესახებ, ხოლო ეს პლანი ქვაკუთხედია ჩემის ბიუჯეტისა.

ამაზე გავათავეთ ეს საინტერესო ლაპარაკიო, ამბობს კორრესპონდენტი.

* * *

ოსმალეთი. გაზ. «თარიგი» წინასწარ-მეტყველობას თავს არ ანებებს: ამას წინად ამ გაზეთმა იწინასწარმეტყველა, რომ, როგორც სარწმუნო წყაროთაგან შევიტყევთო, საბერძნეთი ომს გამოუცხადებს ოსმალეთს 25 მარტსაო და იმავ დღესვე საბერძნეთის ჯარი ჩვენ სამზღვარზე გადმოვაო. ომისა კი ჯერ არაფერი ისმის, მაგრამ საბერძნეთის ერი კი რომ თხოულობს, უთუოდ უნდა ვეომოთ ოსმალეთსაო, ეს ნამდვილია. ოსმალეთს ომი აუცილებელი ჰგონია. მაგრამ ოსმალეთს საბერძნეთის ჯარის შიში არა აქვს,...

ოსმალეთი შესცქეროდა, როგორ დაარღვია ბოლგარიამ ბერლინის ხელშეკრულობა და როგორ ემზადებოდა საბერძნეთი ოსმალეთის წინააღმდეგაო. შიში რომ არა ჰქონოდა, განა მთელი ზამთარი თოვლ-ქვეშ იდგებოდა ოსმალეთის ჯარიო? ნოემბერშივე იმდენი ჯარი ჰყავდა, რომ ორთავეს ხმას ჩააწყვეტინებდაო.

«Новости»-ების კორრესპონდენტი სწერს,—ომის ამბავი რომ მოვიდაო, ოსმალეთში, ცხადად ვიგრძენ, რომ სწორედ ოსმალეთში ვარო. დადიან და მხოლოდ იმას კითხულობენ სხვა-და-სხვა სალხინოში, მართალი ამბავია ომის ამბავიო?

გასართობი

ამას წინად შტუტგარდტში საკოროლეო ქუჩაზე არხეინად დასეირნობდა ერთი კაცი, დოქტორ ეგერისაგან შემოღებულ ტანთ-საცმელში და უკან ტიურნიური ჰქონდა გაკეთებული. თან დასდევდა მთელი ჯგუფი ხალხი; კაცები ხარხარებდნენ და «ვაშა-ვაშას» დასძახოდნენ და ქალები-კი ჰკიცხავდნენ და ცხარობდნენ. დასასრულ, ჩაერია ამ საქმეში პოლიცია და ჰკითხეს ამ კაცსა: რად ჩაგიცვამს ისეთი სამასხარაო ტანისამოსი, რომელიც ამოდენა ხალხს გარს გახვევსო. მან უპასუხა, რომ ნება მაქვს ისეთი ტანისამოსი ვატარო, როგორიც მე მსურსო. ტრიკო, რომელიც მაცვია, დოქტორ ეგერის შემოღებულიაო და ტიურნურს კი ყველა ქალი ხმარობსო. პოლიციის მოხელემ გადასწყვიტა, რომ ეს კაცი მართალია, როგორ ტანისამოსსაც უნდა, იმისთანას ჩაიცვამსო, ჩემის საქმე არ არის, რომ გავერიოო. ამასობაში ხალხის ჯგუფი კი სულ მატულობდა და მატულობდა. უეცრივ ამ კაცს წინ შეეფეთა ამისთანავე უშველებელ ტიურნურიანი ქალი, რომელმაც, რა დაინახა კაცი ტიურნურით, შესძახა: «ღმერთო ჩემო, რა საძაგლობაა»!—«თქვენა გბაძავთო»,—უპასუხა დინჯად ტიურნურიანმა კაცმა.

* * *

მოხდენის ძილისათვის წურთვნა. ახალ-გაზდა ქალების აღზრდა ამერიკაში თან-და-თან წინ მიდის და უფრო ვრცელდება. ცინცინატის ქალების აკადემიაში სხვათა შორის მოხდენილ ძილსაც ასწავლიან. აი მაგალითად, რა უთქვამს ამ აკადემიის პროფესორ-ქალს ერთის ევროპიელისათვის:—«მოგვსვლიათ როდისმე აზრი, რომ ერთს მესამედს ჩვენის სიცოცხლისას ძილში ვატარებთ? გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორა სწევხართ ღამე ლოგინში? თქვენთვის, კაცებისთვის მოხდენილი ძილი კიდევ ისეთ აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს, მაგრამ ყოველი ქალი-კი, რაც შეიძლება, მშვენიერად და მოხდენილად უნდა იწვეს ამისათვის ჩემს ლექციებში, მინდა ეს საჭირო საგანიც ვასწავლო ქალებს. ბევრ ქალებს მეტად ცუდი ზნე სჭირთ, პირ-ღია წოლა, რომლის შედეგიც არის, საძაგელი თვისება, სახელდობრ—ხვრინვა. მე ვასწავლი ახალ-გაზდა ქალებს, დაძინების წინედ კეკლუცად მოკუმონ ტუჩები და, თუ საჭირო იქნება, ამისთვის ხელის სარკეც იქონიონ ლოგინში. არ უნდა წაჰყონ აგრეთვე თავი ბალიშში ძალიან, რომ პირი არ დაალონ, რადგანაც ამის გამო ძარღვები დაუსუსტდებათ ხოლმე. ვაფიცებ აგრეთვე ისევე იზრუნონ ღამის სამოსელზე, როგორც დღის მორთულობაზე. ღამის სამოსელი უნდა სუფთად, მოხდენილადა და კარგად იყოს გამოჭრილ-შეკერილი; საზიზღარი სალამური თავ-საკრავი სულ არ უნდა იხმარებოდეს. თმები არ უნდა აიკრიფონ ხოლმე, არამედ სუბუქად და თავისუფლად გაიშალონ, ჯერ სილამაზის მიხედვით და მერე შელავათისათვის. მათი ტანის მდებარეობა უნდა იყოს ნებიერი და მოსაწონი, რადგანაც მათს ქმრებს შეუძლიანთ უეცრად შესვლა მათს საწოლში ყოველ წუთს. ქალებს ყოველთვის უნდა მიმზიდველი შეხედულობა ჰქონდესთ, რადგანაც დასაწყისში განგები სიკეკლუცე, ბოლოს ჩვეულებად გადაექცევათ ხოლმე.

დეპეშა

მერუჩაკი, 1 აპრილს. პენდეს მივიდა 28 მარტს იმერ-კასპის ოლქის უფროსი და თან შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ლევაშოვი ჰყოლია. უფროსს უნდა, ჰნახოს ახლად შემოერთებული მხარე და სამუდამოდ დააწესოს რუსული მმართველობა. ოლქის უფროსმა და მისმა სვიტამ ეტლებით გაიარეს პენდეზე ახალის მშვენიერის გზით ტაშ-კეპრიდამ მერუჩაკამდე, საცა მიჯნის გამყვანთა კამისია იმყოფება. როცა უფროსი აულებში შედიოდა ხოლმე, მკვიდრნი პურ-მარილით ეგებებოდნენ გენერალ-კომაროვს და მადლობას ეუბნებოდნენ, რომ რუსეთმა შეგვიერთაო, რადგანაც ეხლა ალამანები აღარ არიანო; ეხლა ჩვენი სახლობანი, ქონება და საქონელი სრულიად უშიშარად არიან და ყარაული აღარ ეჭირვებათო. პენდეზე გავლის დროს გენერალმა კომაროვმა თავის ხელით დაურიგა ხანებს, მამასახლისებს და საპატიო მცხოვრებთ უმაღლესად ბოძებული ხალათები. 29 მარტს ოლქის უფროსი მივიდა მერუჩაკს, საცა მიჯნის გამყვანთა კამისია იმყოფება და ჰნახა უკვე დაწესებული მიჯნები. 30 მარტს გენერალი კამაროვი წამოვიდა მერუჩაკიდამ ტაშკეპრისკენ, საიდამაც ვერანა მინდვრის გზით ჰფიქრობს სერახსამდე მივიდეს.

ინგლისის კომისია ყარაულ-ხანიდამ ბაკალისკენ წავიდა. ბაკალი ყარაულ-ხანსა და ჩარშამბეს-შუაა. 1 აპრილს რუსეთის კომისია მურღაბის მარჯვენა ნაპირას გადმოვიდა და რამდენისამე დღის შემდეგ ჩარშამბეში მიდის.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — ჟოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის

6 დღე კვირა. ბზობა. არხიეპისკ. ევტიხისა და ირემიასი; 120 მოწამეთა, ასრულებულთა სპარსეთს. სომ. ბზობა, ნახატონაქი; კათ. ბზობა, ვილჰელმისა. 5 ს.—59 წ. მთვარე გაივსება. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—17. ტფილისში მზე ამოდის 5—16; ჩადის 6—44. მთვარე ამოდის 6—47 ღ. ჩადის 5—4 ნდ.

7 დღე ორშაბათი. ღირსისა გიორგი ეპისკოპ. და დანიელისა. სომეხ. ხარება წმ. ქალწულისა მარიამისა. კათ. ეპიფანისა. მუსულმ. ისტივთალის დღე. მიიცვალა იმაში სადიყი. დაქორწინდნენ ალი და ფატმა (ასული მაჰმედ წინასწარმეტყველ.) ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—3. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45; მთვარე ამოდის 7—54 ღ. ჩადის—5—40 ნდ.

მაზანდა.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკს-და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთა და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 ძალით **4 მაისს ამა 1886 წ. დილის 10 საათზედ დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სახლში, სასახლის ქუჩაზე.** კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგ საგნები

1) ანგარიში ბანკის მოქმედობისა 1885 წ. განმავლობაში.

2) მოხსენება ბანკის მმართველობისა იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკს დარჩა.

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1886 წლისათვის.

4) მოხსენება მმართველობისა და ზედამხედველის კომიტეტისა იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა.

5) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ რა შემწეობა მიეცეს ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიას გორში.

6) არჩევანი ზედა-მხედველის კომიტეტის სამის წევრისა ნაცვლად თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, ლ. ა. მაღალაშვილისა და გ. მ. თუმანიშვილისა, რომელნიც თავს ანებებენ კომიტეტს.

7) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა ნაცვლად თ. ი. გ. მაჩაბლისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობასა.

8) არჩევანი დამფასებელ კომმისიის ორის წევრისა ნაცვლად თ. გ. ს. ციციშვილისა და ა. ნ. ფურცელაძისა, რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს კომისის.

(5—1)

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა

აკაკისა,

ისყიდება **მორიჯის** ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და **გრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

ბრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ბ. ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი:

პატარა მოამბე, საყმაწ. წიგნი	» 10 კ.
საკლასო დედანი, ფურც. .	» 10 »
იგივე, კარდონზედ გაკრული.	» 60 »
მოძრავი ანბანი, ყუთში . .	1 მ. »
საოჯახო დედანი, ფურც. .	» 3 »
იგივე, კარდონზე გაკრული.	» 7 »
ანბანი კუბიკებზედ, ოჯახში სახმარებელი.	1 მ. »

(5—5)

Дозволено цензурою Тифлисъ 5 апрѣля, 1886 г. ტფ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.